



**თყიბულის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



ბრძანება: ბ74.74220143

თარიღი: 14/01/2022

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“, „ე.ვ“ და „ე.ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების მე-6 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

„1. შეიქმნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით სათათბირო ორგანო - საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) სოფიო ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოწვეული საბჭოს წევრი;
- დ) იზოლდა ნემსაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე, მოწვეული საბჭოს წევრი.
- ე) ნანა გვეტაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
- ვ) სოფიო პეტრიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი.

2. დაევალოს საბჭოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული წარმოება, საქმის წარმოებაზე ზედამხედველობა, მონიტორინგი და დადგენილ ვადებში მერისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

3. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში (მაღალმთიანი დასახლება) ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობას ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დაინტერესებული პირის განცხადების დამუშავებისა და მუნიციპალური მართვის სისტემაში საჭირო ინფორმაციის განთავსების უზრუნველსაყოფად განისაზღვროს განცხადების მიმღებ ოპერატორთა შემადგენლობა:

- ა) მარეხი მანჯავიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ბ) სოფიო მამრიკიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ) ნინო ჩაგელიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების შესაბამისად

ა) სტატუსის მინიჭებისა და აღდგენის საკითხს საბჭოს განსახილველად წარუდგენენ შემდეგი უფლებამოსილი პირები:

· ნანა გვეტაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

· ირმა ბრეგაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ბ) სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხს საბჭოს განსახილველად წარუდგენენ შემდეგი უფლებამოსილი პირები:

· ელისო ჭანტურიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

· ინგა ფარცხალაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

6. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის მონიტორინგის (შემდგომში - მონიტორინგი) განხორციელებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრენ:

1. თინათინ ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე;

2. ემზარ სიხარულიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე;

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

8. საბჭო წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრთაგან ირჩევს საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმის შედგენაზე. საბჭოს მდივნის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბჭოს სხდომის მდივნის მოვალეობას ასრულებს საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი.

8. საბჭო რეკომენდაციას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმას.

9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 10 ივლისის N47 1248 ბრძანება.

10. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

